ხელშეკრულება №-03-05/12

ქ. ბათუმი 09 მარტი 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „ლაშვარდი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით, შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული და მეორეს მხრივ სსიპ ბათუმის №22 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი რუხაძის სახით, სახით, შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი თანახმაა დამკვეთს კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახლაურის შესაბამისად; სახელმწიფო შესყიდვების კოდის 35100000 თანახმად მიაწოდოს:

1) 2 ცალი სახანძრო კარადა (მონტაჟით), ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 400 ლარს დღგ-ის ჩათვლით.
2) 1 ცალი ცეცხლმაქრი ბურთულა 5 კგ, ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 250 ლარს დღგ-ის ჩათვლით.
3) 15 ცალი ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი 5 კგ (მონტაჟით),ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 80 ლარს დღგ-ის ჩათვლით.
4) 2 ცალი ცეცხლმაქრი 2 კგ (მონტაჟით), ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 120 ლარს დღგ-ის ჩათვლით.
5) 10 ცალი ევაკუაციის გეგმა A-2 ფორმატში, ქართულ და ინგლისურ ენაზე, გრაფიკაში შესრულებული და სტიკერზე A-2 ფორმატში ამობეჭდილი ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 86 ლარს დღგ-ის ჩათვლით.
6) 1 ცალი შიდა გამოყენების სირენა წითელი (მონტაჟით), ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 180 ლარს დღგ-ის ჩათვლით.
7) 1 ცალი წითელი არასამისამართო ხელის ღილაკი (მონტაჟით), ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 170 ლარს დღგ-ის ჩათვლით.
8) 20 ცალი ევაკუაციის გზის მაჩვენებელი (ფოსფორის არაკალზე შესრულებული და პვხ-ის მასალაზე გადაკრული (მონტაჟით),ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 15 ლარს დღგ-ის ჩათვლით.

ხოლო დამკვეთი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2.მთლიანად სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4000 (ოთხიათასი) ლარს დღგ-ის ჩათვლით.

2. სამუშაოს მიღება-ჩაბარება

2.1. შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიხედვით.

2.3. შესრულებული სამუშაოს მიღების ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

2.4. დამკვეთი ვალდებულია წერილობითი სახით აცნობს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს ხარისხის მითითებით.

3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით სამუშაოების მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობით შესწორების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წა-რმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან დამკვეთისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

5.1 შემსრულებელმა დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულე-ბლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებელ ვადებში არ შეუძლია შეუსრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე დავალება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

დამკვეთს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ დამკვეთისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.3. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო 0.5 %-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8.2 დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 % -ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრუ-ლების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის
დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შემდეგ.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეები-სათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობისთან.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შესრულებას ისეთი ალტერნატიული ხერხებით, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

12. გადასახადი და ბაჟები

12.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. სხვა პირობები

13.1. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთისაგან შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა და სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისას მიყენებული ზიანის მთლიანი ანაზღაურება.

13.2. შემსრულებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს დამკვეთის ქონებას სამუშაოს წარმოებისას.

13.3. შემსრულებელი პასუხს აგებს დამკვეთის ქონების დაზიანებისას გაუფრთხილებლობის დროსაც.

13.4. შემსრულებელს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად დამკვეთზე გადადის შემთხვევით დაზიანების რისკი გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა დამკვეთი აყოვნებს მიღებას.

13.5. სამუშაოს შესრულებამდე გაწეული ხარჯები ეკისრება შემსრულებელს.

13.6. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად, რომლის თითო ეგზემპლიარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ ქ. ბათუმის №22 საჯარო სკოლა	შპს „ ლაშვარდი"
მის: ქ. ბათუმი, ფრ. ხალვაშის გამზ. № 330 საიდენტ. № 248 385 395	მის: ქ. ბათუმი, ვ. ფშაველას ქ. 68 საიდენტ. № 245 619 763 ანგარიშის № GE 37 BG 0000000131808400 საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE 22
დირექტორი: გ. რუხაძე	დირექტორი: ფ. მგელაძე

ინფორმაცია ფასების და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა № 3

№	საქონლის სახეობა	განზო-მილება	რაოდე-ნობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	სახანძრო კარადა (მონტაჟით)	ცალი	2	400	800	ქ. ბათუმი, ფრ. ხალვაშის გამზ. № 330	13.04. 2018 წ
2	ცეცხლმაქრი ბურთულა 5 კგ	ცალი	1	250	250	„----------“	13.04. 2018 წ
3	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი 5 კგ (მონტაჟით)	ცალი	15	80	1200	„----------“	13.04. 2018 წ
4	ცეცხლმაქრი 2 კგ (ოუ-2) (მონტაჟით)	ცალი	2	120	240	„----------“	13.04. 2018 წ
5	ევაკუაციის გეგმა A-2 ჩარჩოთი (მონტაჟით)	ცალი	10	] 86	860	„----------“	13.04. 2018 წ
6	შიდა გამოყენების სირენა წითელი (მონტაჟით)	ცალი	1	180	180	„----------“	13.04. 2018 წ
7	წითელი არასამისამართო ხელის ღილაკი (მონტაჟით)	ცალი	1	170	170	„----------“	13.04. 2018 წ
8	ევაკუაციის გზის მაჩვენებელი (მონტაჟით)	ცალი	20	15	300	„----------“	13.04. 2018 წ

სულ 4000 (ოთხიათასი) ლარი.

შპს „ლაშვარდი“-ს

დირექტორი: ფ. მგელაძე